MES 7 21 0000030358

26/01/2021

ხელშეკრულება N3/4
(საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის N26 დადგენილების და „სახელმწიფო შესყიდ ვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მომსახურების შესყიდვაზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით)

ქ. თბილისი

ერთის მხრივ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, მდებარე: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N33 (შემდგომში, „შემსყიდველი“), წარმოდგენილი კანცლერის, ზურაბ ორჯონიკიძის სახით და მეორეს მხრივ სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“ მის: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ (შემდგომში, “მიმწოდებელი”), წარმოდგენილი პრეზიდენტის, დავით გიორგობიანის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (საფუძველი: თსსუ-ს ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსის, მ. რობაქიძის 02.12.2020წ. თარიღის N MES 2 20 0001149389 სამსახურებრივი ბარათი) შემდეგზე:

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 შესყიდვის ობიექტია: 2019 წლის 16 იანვარს გაფორმებული N1/25 ხელშეკრულების (SPA180009971) შესაბამისად, ორი ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების (HYUNDAI H-1, სახელმწიფო ნომრებით: VU-804-VU და VU-805-VU) საგარანტიო პირობების ფარგლებში - ტექნიკური მომსახურება პრეისკურანტის წესით (CPV 50110000)დანართი N1-ის (დანართი N1 (პრეისკურანტი) წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს) შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 6000 (ექვსიათასი) ლარს, ხოლო პრეისკურანტის ღირებულება შეადგენს 37254.50 (ოცდაჩვიდმეტიათასორასორმოცდათოთხმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახადს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

3.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, გარდა სათუნუქე-სამღებრო სამუშაოების შემთხვევისა – 8 (რვა) სამუშაო დღე და იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება დეფიციტურ ნაწილს - მოთხოვნიდან - გონივრულ ვადაში.

3.2 შემსყიდველი, მოთხოვნის შესახებ შეტყობინებას განახორციელებს ფირმის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: office@hyundai.ge

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

5. ხელშეკრულების კონტროლის პირობები

5.1 "შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და "შემსყიდველის" მოთხოვნებთან.
5.2 ხელშეკრულების კონტროლს, შემსყიდველის მხრიდან, განახორციელებს თსსუ-ს კანცლერის 2018 წლის 3 აგვისტოს N268/02 ბრძანებით შექმნილი, კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფი.
5.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის შესახებ "შემსყიდველი" ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 7 (შვიდი) დღისა აცნობოს "მიმწოდებელს". შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს, როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. სატელეფონო შეტყობინების შემთხვევაში, „შემსყიდველი" ვალდებულია ზეპირი შეტყობინებიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადისა, წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს" შესყიდვის ობიექტის ნაკლის შესახებ.
5.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ კონტროლთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება "მიმწოდებელს", საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება თსსუ-ს კანცლერის 2018 წლის 3 აგვისტოს N268/02 ბრძანებით შექმნილი, კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის დასკვნის საფუძველზე.

7. ხელშეკრულების ობიექტის ხარისხი და გარანტია

7.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ შესყიდვის ობიექტი იქნება სტანდარტებთან შესაბამისობაში, რომელიც თავის მხრივ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
7.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს 7.1. ქვეპუნქტის პირობების გათვალისწინებით.
7.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადაში "შემსყიდველი" ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს "მიმწოდებელს" ხარვეზის აღმოჩენის შესახებ, ხელშეკრულების 5.3 პუნქტით განსაზღვრული წესით.
7.4 შეტყობინების მიღების შემდეგ, "მიმწოდებელი" ვალდებულია მნიშვნელოვანი დაზიანების, ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტზე გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა (საჭიროების შემთხვევაში შეკეთება ან ახლით შეცვლა), შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში; ამასთან, პრეტენზიები არ მიიღება იმ შემთხვევაშიც, თუკი ადგილი ექნება მექანიკურ ზემოქმედებას (დაზიანებას) „მიმწოდებლის" მიერ შეცვლილ აგრეგატზე ან დადგინდება, რომ წარმოდგენილ ავტომანქანას ნებისმიერი სახის (მათ შორის შეცვლილი დეტალის დემონტაჟის მიზნით) სერვისი ჩაუტარდა არა „შემსრულებლის" სერვის ცენტრში. მიმწოდებელს დაეკისრება, როგორც ხელშეკრულების ობიექტის ხარვეზების აღმოფხვრა, ასევე აღნიშნული ხარვეზების შედეგად შემსყიდველისა და მესამე პირებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
7.5 თუ "მიმწოდებელი", ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით მიღებული შეტყობინების და 7.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს, "შემსყიდველს" უფლება აქვს "მიმწოდებლის" ხარჯით უზრუნველყოს არსებული ხარვეზების გამოსწორება.

8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

8.1 “მიმწოდებელთან” ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში.

8.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

8.3 წინასწარი ანგარიშსწორება გათვალისწინებული არ არის.

8.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესახებ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შემსყიდველის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურების დღიდან - არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

8.5 იმ შემთხვევაში თუ ,,მიმწოდებელი” დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, “შემსყიდველი” უფლებამოსილია უარი თქვას სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს თანხის სრული ოდენობით დაფარვამდე.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

9.1”შემსყიდველს” უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა, მიმწოდებლის მიერ, ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
- უარი თქვას უხარისხო შესყიდვის ობიექტის მიღებაზე.

9.2 “შემსყიდველი” ვალდებულია:

- წერილობით აცნობოს “მიმწოდებელს” შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
- მოახდინოს ანგარიშსწორება “მიმწოდებელთან”, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9.3 “მიმწოდებელს” უფლება აქვს:

-მოსთხოვოს “შემსყიდველს” მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9.4 “მიმწოდებელი” ვალდებულია:

- გააფრთხილოს “შემსყიდველი” შესყიდვის ობიექტის მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისთვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

10.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
10.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო, სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით.
10.6 "შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს "მიმწოდებელს" საურავი, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე - დროულად მიუწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულების 0,2 (ნული მთელი ორი მეათედი) პროცენტის ოდენობით, მაგრამ საურავის ჯამური თანხა არანაკლებ 10 (ათი) ლარისა.
10.7 შემსყიდველი იტოვებს უფლებას ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან განახორციელოს იმ დროისთვის არსებული პირგასამტეხლოს თანხის დაკავება და გადარიცხვა შესაბამის ანგარიშზე. ეტაპობრივად ანგარიშსწორების შემთხვევაში, პირგასამტეხლოს დაკავება განხორციელდება შესაბამის ეტაპზე გადასახდელი თანხიდან.
10.8 10.7 მუხლის გამოუყენებლობა შემსყიდველს არ ართმევს უფლებას მოითხოვოს მიმწოდებლისგან პირგასამტეხლოს გადახდა.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 ხელშეკრულების პირობებში ცვლილება ხორციელდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
11.2 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობისას, ის მხარე, რომელსაც სურს ცვლილების შეტანა, ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე.
11.3 ხელშეკრულების თითოეული მხარე უფლებამოსილია არ დაეთანხმოს შეთავაზებულ წინადადებას ცვლილების შესახებ.
11.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
11.6 თუ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღმოჩნდება, რომ განფასების ცხრილში (პრეისკურანტში) არ არის გათვალისწინებული იმ მომენტისათვის საჭირო საქონელი (ნაწილები და საცხებ-საპოხი) და მომსახურება, აღნიშნული ერთეულ(ებ)ის ფასი, მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება მხარეთა შორის შეთანხმებით, საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში საქონლის ან/და მომსახურების რომელიმე ერთეულ(ებ)ის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მხარეები წააწყდებიან ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ხელშემშლელ გარემოებებზე, მისი გამომწვევი მიზეზების და შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ასევე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილების შესახებ.
12.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო, მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს

გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, ხელშეკრულების 11.1 პუნქტის შესაბამისად.
12.3 "შემსყიდველს" შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება ან მოითხოვოს ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება:
ა) თუ ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი;
ბ) თუ ,,მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება.
12.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
12.5 ,,შემსყიდველს" შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
გ) თუ ,,შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) ,,მიმწოდებლის" გაკოტრების შემთხვევაში;
ე) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ ,,მიმწოდებლის" საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.6 12.3 ქვეპუნქტში მითითებულ შემთხვევებში ,,შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს ,,მიმწოდებელს" ფაქტიურად მიღებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ეპიდემია, კარანტინი ან მსგავსი მოვლენა. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
13.2 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.
13.3 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე. ამასთან, ხელშეკრულების შეწყევტის მომენტისათვის მხარეებმა უნდა შეასრულონ ამ მომენტისათვის დამდგარი ვალდებულებები სრულად.
13.4 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა დადასტურებული უნდა იყოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.
15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
15.5 მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე.
15.6 მხარეები ვალდებულნი არიან, რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე, მეორე მხარეს აცნობონ წერილობით.
15.7 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა, ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის, უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით, დასაშვებია კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენება იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ, ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, საფოსტო გზავნილის მეშვეობით. იმ შემთხვევაში თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე, იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება საფოსტო გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	"მიმწოდებელი"
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; ს/კ 211328703; ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N33; ტელეფონი: 0 32 542 456; 577 406 474; ელ. ფოსტა: samedicino@tsmu.edu სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22; ა/ა 708 987 519	სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"; ს/კ 204478948; ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დავით აღმშენებლის ხეივანი, მე-12 კმ; ტელეფონი: 591 484 484 ელ. ფოსტა: office@hyundai.ge სს "თიბისი ბანკი", კოდი TBCBGE22; ა/ა GE96 TB06 0000 0360 200 182

თსსუ-ს კანცლერი **ზურაბ ორჯონიკიძე** ----------	**სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"-ს პრეზიდენტი** **დავით გიორგობიანი** HYUNDAI AVTO GEORGIA JSC Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC Date: 2021.01.27 15:20:01 +04'00' ----------

პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე

კანცლერი

Hyundai H1 New 2.5 (მექანიკური გადაცემათა კოლოფი) 2018 წლის მოდელი				
N	**სათადარიგო ნაწილი / საცხებ-საპოხი მასალა მომსახურება**	**განზომილების ერთეული**	**ნაწილის ფასი ლარი**	**მომსახურების ფასი ლარი**
1	წინა ასამუხრუჭე ხუნდები	კომლექტი	350	15
2	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	კომლექტი	270	15
3	ხელის მუხრუჭის ხუნდები	კომლექტი	205	50
4	ხელის მუხრუჭის ბაგირი	ცალი	180	40
5	წინა ამორტიზატორი	ცალი	370	40
6	უკანა ამორტიზატორი	ცალი	340	40
7	წინა ამორტიზატორის ბალიში	ცალი	125	40
8	წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი	ცალი	85	40
9	უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი	ცალი	105	40
10	წინა ამორტიზატორის საკისარი	ცალი	90	40
11	წინა ამორტიზატორის სამტვერული	ცალი	25	40
12	საჭის ღერძი	ცალი	3770	175
13	საჭის ღერძის შტურვალი	ცალი	545	50
14	საჭის ღერძის დაბოლოება	ცალი	100	20
15	საჭის ღერძის წევა	ცალი	115	20
16	წინა დაკიდების ბერკეტი	ცალი	570	45
17	უკანა დაკიდების ბერკეტი	ცალი	410	45
18	წინა დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი	ცალი	55	45
19	წინა დაკიდების ბერკეტის მილისა პატარა	ცალი	55	45
20	უკანა დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი	ცალი	55	45
21	უკანა დაკიდების ბერკეტის მილისა პატარა	ცალი	55	45
22	ბურთულოვანი სახსარი	ცალი	180	35
23	გადაბმულობის ქურო გადაბმულობის დისკით	კომლექტი	2890	300
24	გადაბმულობის საკისარი	ცალი	210	300
25	უკანა განივი ძელი	ცალი	220	45
26	უკანაძ განივი ძელის მილისა	ცალი	55	45
27	უკანა გრძივი ძელი	ცალი	218	45
28	უკანაძ გრძივი ძელის მილისა	ცალი	55	45
29	წინა სამუხრუჭე დისკო	ცალი	435	30
30	უკანა სამუხრუჭე დისკო	ცალი	400	50
31	წინა მორგვი	ცალი	515	50
32	უკანა ხიდის ნახევარღერძი	ცალი	690	150
33	უკანა ნახევარღერძის საკისარი	ცალი	280	170
34	უკანა ნახევარღერძის ჩობალი	ცალი	30	170
35	მორგვის ჭანჭიკი	ცალი	8	40
36	საბურავის სამაგრი ქანჩი	ცალი	8	5

37	გადაცემათა კოლოფის ქვედა სამაგრი	ცალი	370	50
38	ძრავის ქვედა სამაგრი	ცალი	400	50
39	მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა	ცალი	20	20
40	მშრალი ამორტიზატორის რეზინი უკანა	ცალი	20	15
41	მშრალი ამორტიზატორის მჭიდი	ცალი	10	10
42	წინა ღერო	ცალი	125	20
43	უკანა ღერო	ცალი	120	20
44	ჰაერის ფილტრი	ცალი	55	0
45	ზეთის ფილტრი	ცალი	50	–
46	საწვავის ფილტრი	ცალი	140	50
47	სალონის ფილტრი	ცალი	100	10
48	გმათბობლის სანთელი	ცალი	175	40
49	დინამოს ღვედი	ცალი	150	70
50	დინამოს ღვედის დამჭიმი	ცალი	230	70
51	დინამოს ღვედის გორგოლაჭი	ცალი	120	70
52	წყლის ტუმბო	ცალი	420	100
53	თერმოსტატი	ცალი	55	50
54	ჰიდროგამაძლიერებლის ტუმბო	ცალი	945	120
55	ჰიდროგამაძლიერებლის მაღალი წნევის მილი	ცალი	570	80
56	ABS-ს მართვის მოდული	ცალი	4070	150
57	ABS-ს სენსორი	ცალი	290	50
58	ამძრავი	ცალი	1050	90
59	ამძრავის ავტომატი	ცალი	230	100
60	ამძრავის კბილანა	ცალი	240	100
61	ამძრავის ღუზა	ცალი	385	100
62	ამძრავის ჩოთქი	ცალი	145	100
63	გენერატორი	ცალი	1645	100
64	გენერატორის რელე რეგულატორი	ცალი	230	110
65	გენერატორის დიოდი	ცალი	270	110
66	გენერატორის საკისარი	ცალი	60	110
67	ძრავის ჯაჭვი	ცალი	265	430
68	ძრავის ჯაჭვის დამჭიმი	ცალი	215	430
69	ძრავის ჯაჭვის დამამშვიდებელი	ცალი	60	430
70	ძრავის ჯაჭვის მიმმართველი	ცალი	60	430
71	ზეთის ტუმბოს ჯაჭვი	ცალი	190	430
72	ზეთის ტუმბოს ჯაჭვის დამჭიმი	ცალი	230	430
73	ზეთის ტუმბოს ჯაჭვის დამამშვიდებელი	ცალი	40	430
74	საქარე მინის საწმენი	ცალი	60	5
75	ჰალოგენის ნათურა	ცალი	70	20
76	წინა ფარის ნათურა	ცალი	40	10
77	გაბარიტის ნათურა	ცალი	10	10

78	უკანა სტოპ ნათურა	ცალი	20	10
79	აკუმლატორი	ცალი	380	10
80	სიგნალი	ცალი	85	15
81	კალენვალის დაჩიკი	ცალი	220	80
82	საჭის შლეიფი	ცალი	280	50
83	ძრავის ზეთი სინთეტიკა	1 ლიტრი	25	–
84	გადაცემათა კოლოფის ზეთი	1 ლიტრი	25	–
85	ხიდის ზეთი	1 ლიტრი	25	–
86	საჭის ჰიდროგამაძლიერებლის ზეთი	1 ლიტრი	25	–
87	სამუხრუჭე სითხე	1 ლიტრი	60	–
88	ანტიფრიზი	1 ლიტრი	17	–
89	ფრეონი	100 გრ	13	–
90	ყინვაგამძლე სითხე	1 ლიტრი	17	–
91	ძრავის ზეთისა და ზეთის ფილტრის შეცვლა	კომლექტი	–	15
92	გადაცემათა კოლოფიში ზეთის შეცვლა	კომლექტი	–	40
93	ხიდში ზეთის შეცვლა	კომლექტი	–	30
94	საჭის ჰიდროგამაძლიერებელის ზეთის შეცვლა	კომლექტი	–	50
95	ანტიფრიზის შეცვლა	კომლექტი	–	45
96	სამუხრუჭე სითხის შეცვლა	კომლექტი	–	80
97	ფრეონის ჩატუმბვა	კომლექტი	–	30
98	საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება	ცალი	–	20
99	საბურავის დაწებება , აღდგენა	ცალი	–	20
100	განშლა	კომლექტი	–	40
101	კომპიუტერული დიაგნოსტიკა	კომპლექტი	–	40
102	სამუხრუჭე სითხის დამატება	საჭიროების შესაბამისად	–	უფასო
103	ანტიფრიზის დამატება	საჭიროების შესაბამისად	–	უფასო
104	საჭის ჰიდროგამაძლიერებელის ზეთის დამატება	საჭიროების შესაბამისად	–	უფასო
105	ევაკუატორის გამოძახება	თბილისის ფარგლებში		25
106	ევაკუატორით მომსახურება	1 კმ		2
107	ევაკუატორის გამოძახება	თბილისის ფარგლებს გარეთ		25
108	ევაკუატორით მომსახურება	1 კმ		1.5
ჯამი			**29191**	**8063.50**
სულ (ოცდაჩვიდმეტიათასორასორმოცდათოთხმეტი ლარი და 50 თეთრი)			**37254.50**	

თსსუ-ს კანცლერი
ზურაბ ორჯონიკიძე

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“-ს პრეზიდენტი
დავით გიორგობიანი

Tbilisi State Medical University Digitally signed by Tbilisi State Medical University Date: 2021.01.26 17:17:11 +04'00'

HYUNDAI AVTO GEORGIA JSC Digitally signed by HYUNDAI AVTO GEORGIA JSC Date: 2021.01.27 15:20:21 +04'00'

MES 6 21 0000030069

26/01/2021

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ, 2021 წლის 26 იანვრის, ავტოსატრანსპორტო საშუალების საგარანტიო პირობების ფარგლებში - ტექნიკური მომსახურების პრეისკურანტის წესით შესყიდვაზე, N3/4 ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით, „მიმწოდებლის“ შერჩევაში მონაწილე პირები, ვადასტურებთ, რომ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო"-სთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტი
ეკონომიკური დეპარტამენტი
შესყიდვების განყოფილება
მთავარი სპეციალისტი
ლოლაძე შალვა

თსსუ-ს ეკონომიკური დეპარტამენტის
შესყიდვების განყოფილების უფროსი
მაკა ღარიბაშვილი